ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №172454

ნომერი: AR150106

თარიღი : 11.05.2012

გაცემის თარიღი : 20.05.2012

გაცნობის თარიღი : 20.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გუდიაშვილი , N 2 , (ნაკვეთი 41/011) ; ქალაქი თბილისი , მოედანი გუდიაშვილის , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:

- შპს "არტსტუდიო პროექტი" კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს განაცხადით მომართა მოქ. ქ. ფანცულაიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, გუდიაშვილის ქ. N2–ში (უძრავი ძეგლი) მდებარე შენობის რესტავრაცია–ადაპტაციის ესკიზის წინასწარი შეთანხმება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს –

გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაშიშექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო– მეთოდურ საბჭოს (ოქმი N20. 15.05.2012წ), რომლის დასკვნის საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. მოწონებულ იქნას ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გუდიაშვილის ქ. N2–ში (უძრავი ძეგლი) მდებარე შენობის რესტავრაცია–ადაპტაციის წინასწარი ესკიზური პროექტი;
2. ჩატარდეს კვლევითი სამუშაოები, რომელიც მოიცავს სამეცნიერო–საძიებო და პრაქტიკულ სამუშაოებს. შენობის მდგომარეობის, დაზიანებების და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენასა და სარეაბილიტაციო ღონისძიებათა შესახებ რეკომენდაციების შემუშავებას. ვადად განისაზღვროს ერთი თვე.
3. ტერიტორია შეიღობოს სამშენებლო ღობით და უზრუნველყოფილი იქნა დამცავი ბადის მოწყობა. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტაციაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას
4. უძრავ ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ნებართვა გაიცეს შესაბამისი პროექტის წარმოდგენის შემდგომ.
5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7) ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.